

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ემ-ერ ჩემიკალ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 20 აპრილს საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 401970051, თბილისი, ვაკის რაიონი, წყნეთის გზატკეცილი, №23ბ, I სართული, ბინა 14. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელია ირანის მოქალაქე ფიზიკური პირი, დავოუდ ვალი ზადეჰ (პ.6.01991004063) - 100%, ღირექტორები დავოუდ ვალი ზადეჰ (პ.6.01991004063) და თათია გორგოძე, (პ/ნ 01005035379).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ქიმიური მასალების იმპორტ-ექსპორტი, რეალიზაცია.

1.4. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობის მიმდევარი შეილობილი და მეკავშირე სანარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო სანარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის სანარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-

ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამონერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და

შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	2274	72057
ლარი საბანკო ანგარიშებზე	85485	7674
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	205	0
ევროები საბანკო ანგარიშებზე		27483
ლარი სხვა საბანკო ანგარიშებზე	0	
სულ:	87964	107214

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ	579876	541738
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ	1483143	967767
სულ:	2063019	1509505

3.3. მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	0	6365
სულ:	0	6365

3.4. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1102360	1088132
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები		
სულ:	1102360	1088132

3.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	408943	587784
საწვავ-საცხები მასალები		99
სულ:	408943	587883

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
კავშირგაბმულობა, ოფისის აღჭურვილობა და კომპ. ტექნიკა	12174	9048
ავტო და ინვენტარი	3668	3184
სატრანსპორტო საშუალებები	62985	26036
სხვა ძირითადი საშუალებები	1211	1695
სულ:	80038	39963

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 31650 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 13201 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	664	885
სულ:	664	885

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 442 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 221 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	112946	24502
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	3045222	3434607
სულ:	3158168	3459109

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 8 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 6 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
„საქართველოს ბანკის“ სესხი (USD)		133798
„თიბისი ბანკის“ სესხი (USD)	749448	
სულ:	749448	133798

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	184605	24012
სულ:	184605	24012

3.11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	34818	103033
სულ:	34818	103033

3.12. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი		
ზარალი	-384051	-380005
სულ:	-384051	-380005

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2017-2018 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2018 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.13. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2017-2018 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა ქიმიური მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.14. მიწოდების ხარჯები:

		2018 წელი	2017 წელი
7310	რეკლამის ხარჯები	3390	0
7340	მზა პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები	3170	0
7390	მიწოდების სხვა ხარჯები	2379	8459
	სულ:	8938	8459

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

		2018 წელი	2017 წელი
7410	შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	185137	168466
7420	საიჯარო ქირა	68162	67500
7422	ელექტროენერგიის ხარჯები	1943	1878
7423	გაზი და წყალი	2656	3868
7424	დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	78	92
7425	მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	541	0
7426	საკანცელარიო ხარჯები	269	267
7427	კომპიუტერის ხარჯები	191	385
7430	კომუნიკაციის ხარჯები	4806	4874
7440	საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	3301	3537
7450	საკონსულტაციო და ადვოკატის ხარჯები	30797	38548
7455	საერთო დანიშნულების ძირით. საშალებების ცვეთა	18449	10539
7456	საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	221	221
7465	საგადასახადო ხარჯები	597	337
7470	საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	55978	12119
7477	ხარჯები რომლებიც იბეგრება მოგების გადასახადით	6000	8907
7481	ავტომატური რემონტის ხარჯები	138	97
7490	სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	2258	151
	სულ:	381522	321785

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

		2018 წელი	2017 წელი
8180	დადებითი საკრსო სხვაობები	49604	201937
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8809	14
	სულ:	58414	201951

3.17. არასაოპერაციო ხარჯები:

		2018 წელი	2017 წელი
8210	საპროცენტო ხარჯები	29409.25	11986.49
8280	არყოფითი საკრსო სხვაობები	161860.66	55971.58
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2.27	2.01
	სულ:	191272	67960

3.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 26 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო აღდგილი არ ჰქონია.

3.19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 10 სექტემბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	19.09.2019	01.01.2018	01.01.2019
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	3200037	3299099	3662286
ფულადი სახსრები	19890	107214	87964
მოკლევადიანი ინვესტიციები	0	0	0
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	925909	1509504	2063019
მოთხოვნა პარტნიორის წინაშე კაპიტალის შევსებაზე	0	0	0
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1282495	1088132	1102360
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	0	6366	0
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	971743	587883	408943
წინასწარ გადახდილი გადასახადები	0		
მისაღები პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი მოთხოვნები	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	27369	40848	80702
ძირითადი საშუალებები	27369	39963	80038
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
არამატერიალური აქტივები	0	885	664
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	0	0	0
გადავადებული საგადასახადო აქტივი	0	0	0
კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები	0	0	0
საინვესტიციო ქონება და სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები	0	0	0
სულ აქტივები:	3227406	3339947	3742988
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	3715874	3719952	4127039
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3539772	3459109	3158168
მოკლევადიანი სესხები	0	133798	749448
საგადასახადო ვალდებულებები	106666	24012	184605
გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	69436	103033	34818
გასაყიდად გამიზნულ გრძელვ. აქტივ. დაკავშირ. ვალდებულებები	0	0	0
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	0	0	0
გრძელვადიანი სესხები	0	0	0
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	0	0	0
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	0	0	0
გრძელვადიანი ანარიცხები	0	0	0
გადავადებული შემოსავალი	0	0	0
<i>სულ კაპიტალი:</i>	-448468	-380005	-384051
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	0	0	0
საემისიო (დამატებითი) კაპიტალი	0	0	0
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-448468	-380005	-384051
რეზერვები და დაფინანსება	0	0	0
არამაკონტროლებელი წილი	0	0	0
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	3267406	3339947	3742988

	საანგარიშო პერიოდი
	2018
ამონაგები	8546565
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	8026233
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	520332
სხვა საოპერაციო შემოსავლები	8809
სულ საოპერაციო შემოსავლები:	529141
მიწოდების ხარჯები	8938
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	381522
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	2
სულ საოპერაციო ხარჯები:	390462
ნეტო შემოსავალი ძირით. საშუალ. და არამატ. აქტივების გაყიდვიდან	0
ფინანსური შემოსავლები	0
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან	0
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან	0
დადებითი საკურსო სხვაობები	49604
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	0
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	49604
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან	0
ფინანსური დანახარჯები	29409
ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან	0
ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან	0
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	0
უარყოფითი საკურსო სხვაობები	161861
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	0
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	191270
მოგება დაბეგვამდე:	-2987
მოგების გადასახადის ხარჯი	0
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	-2987
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-2987
<i>მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნებელი:</i>	<i>0</i>
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-2987
არამაკონტროლებელ წილზე	0
ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0
მეკავშირე საწარმოს სხვა სრული შემოსავლის წილი	0
სხვა სრული შემოსავალი	0
სხვა სრულ შემოსავალთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი	0
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:	0
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-2987
<i>მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:</i>	<i>0</i>
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-2987
არამაკონტროლებელ წილებზე	0

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	19.09.2019	01.01.2018	01.01.2019
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	<i>3200037</i>	<i>3299099</i>	<i>3662286</i>
ფულადი სახსრები	19890	107214	87964
მოკლევადიანი ინვესტიციები	0	0	0
დებიტორული დაგაღიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	925909	1509504	2063019
მოთხოვნა პარტნიორის წინაშე კაპიტალის შევსებაზე	0	0	0
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1282495	1088132	1102360
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	0	6366	0
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	971743	587883	408943
წინასწარ გადახდილი გადასახადები	0		
მისაღები პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი მოთხოვნები	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	<i>27369</i>	<i>40848</i>	<i>80702</i>
ძირითადი საშუალებები	27369	39963	80038
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
არამატერიალური აქტივები	0	885	664
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	0	0	0
გადავადებული საგადასახადო აქტივი	0	0	0
კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები	0	0	0
საინვესტიციო ქონება და სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები	0	0	0
სულ აქტივები:	3227406	3339947	3742988
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>3715874</i>	<i>3719952</i>	<i>4127039</i>
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3539772	3459109	3158168
მოკლევადიანი სესხები	0	133798	749448
საგადასახადო ვალდებულებები	106666	24012	184605
გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	69436	103033	34818
გასაყიდად გამიზნულ გრძელვ. აქტივ. დაკავშირ. ვალდებულებები	0	0	0
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>0</i>	<i>0</i>	<i>0</i>
გრძელვადიანი სესხები	0	0	0
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	0	0	0
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	0	0	0
გრძელვადიანი ანარიცხები	0	0	0
გადავადებული შემოსავალი	0	0	0
<i>სულ კაპიტალი:</i>	<i>-448468</i>	<i>-380005</i>	<i>-384051</i>
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	0	0	0
საემისიო (დამატებითი) კაპიტალი	0	0	0
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-448468	-380005	-384051
რეზერვები და დაფინანსება	0	0	0
არამაკონტროლებელი წილი	0	0	0
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	3267406	3339947	3742988

დირექტორი:



თ. გორგოძე

	საანგარიშო პერიოდი
	2018
ამონაგები	8546565
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	8026233
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	520332
სხვა საოპერაციო შემოსავლები	8809
სულ საოპერაციო შემოსავლები:	529141
მიწოდების ხარჯები	8938
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	381522
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	2
სულ საოპერაციო ხარჯები:	390462
ნეტო შემოსავალი ძირით. საშუალ. და არამატ. აქტივების გაყიდვიდან	0
ფინანსური შემოსავლები	0
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან	0
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან	0
დადებითი საკურსო სხვაობები	49604
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	0
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	49604
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან	0
ფინანსური დანახარჯები	29409
ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან	0
ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან	0
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	0
უარყოფითი საკურსო სხვაობები	161861
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	0
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	191270
მოგება დაბეგვამდე:	-2987
მოგების გადასახადის ხარჯი	0
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	-2987
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-2987
მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნებელი:	0
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-2987
არამაკონტროლებელ წილზე	0
ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0
მეკავშირე საწარმოს სხვა სრული შემოსავლის წილი	0
სხვა სრული შემოსავალი	0
სხვა სრულ შემოსავალთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი	0
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:	0
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-2987
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:	0
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-2987
არამაკონტროლებელ წილებზე	0

დირექტორი:

თ. გორგოძე

